



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა #28

2014 წლის 8 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართზე საკადასტრო - აზომვითი ნახაზის დამზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

სოფელ ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართზე, საკადასტრო - აზომვითი ნახაზის დამზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უნდა განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით. დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 14 მაისს SPA-140012519, 10 ივნისს-SPA 140014749 და 25 ივნისს - SPA 140015802 გამოცხადებული ტენდერები, პრეტენდენტების არ არსებობის გამო არ შედგა. ტენდერის კვლავ გამოცხადება, მოითხოვს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვას რაც იწვევს დროის გაწელვას. ვითარებიდან გამომდინარე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ითხოვს აღნიშნული შესყიდვის განხორციელებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10¹ მუხლის მე-3-ე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცეს თანხმობა, რათა დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართზე, საკადასტრო - აზომვითი ნახაზის დამზადების მომსახურების შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.